

სახელმძღვანელოს ზოგადი კონცეფცია

გაეროს განვითარების პროგრამისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ერთობლივი საგრანტო პროექტის ფარგლებში იგეგმება ელექტრონული სახელმძღვანელოს შექმნა, რომელიც დაფუძნებული იქნება ეროვნულ სასწავლო გეგმასა და „მეცნიერებების“ ინტეგრირებულ ზოგად მოდულზე.

სიტუაციური ანალიზი

2018 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა კანონმა „პროფესიული განათლების შესახებ“, შექმნა სამართლებრივი საფუძველი პროფესიული განათლების სივრცეში ზოგადსაგანმანათლებლო კომპონენტის ინტეგრირებისთვის. „ინტეგრირება“ მიზნად ისახავს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობას, რაც გამოიხატება საბაზო ზოგადი განათლების მქონე პირებისთვის პროფესიის შესწავლის პარალელურად, სრული ზოგადი განათლების მიწოდებით. აღსანიშნავია, რომ 2007 წლიდან 2020 წლამდე, აღნიშნული შესაძლებლობა განათლების სისტემაში არ არსებობდა. 2007 წელს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისგან გამოიჯნა ზოგადსაგანმანათლებლო კომპონენტი, რამაც წარმოქმნა ე.წ. „საგანმანათლებლო ჩიხი“, რომლის დაძლევა შედგომ წლებში განათლების პოლიტიკის უმთავრეს ამოცანად იქცა. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად პროფესიული განათლების ახალი კანონი ითვალისწინებს საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში (კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონე) ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის (10-12 კლასი) სწავლის შედეგების ინტეგრირებას. ამ ტიპის პროგრამის გავლა დასრულდება დიპლომის გაცემით, რომელიც გათანაბრებული იქნება სრული ზოგადი განათლების ატესტატთან.

2019 წლის 19 აგვისტოს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა გამოსცა ბრძანება (ბრძანება №170/ნ) საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ. აღნიშნულს წინ უსწრებდა რამდენიმე წლიანი სამუშაო პროცესი:

- ✓ 2016 წელს სამინისტროს (პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი) და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კოორდინაციითა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, მომზადდა „ინტეგრირების“ კონცეფცია;
- ✓ 2017 წელს დაიწყო მიდგომის პილოტირება, მონიტორინგი და შეფასება; შეიქმნა გზამკვლევები მასწავლებლებისთვის;
- ✓ 2019 წელს, პილოტირების შედეგების გათვალისწინებით, გადამუშავდა ინტეგრირებული ზოგადი მოდულების შინაარსი.

2020 წელს, პროფესიული განათლების სისტემამ პირველად მიიღო სტუდენტები (500-მდე სტუდენტი) პროგრამებზე, რომლებშიც ინტეგრირებულია სრული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. ამდენად, უკვე დაიწყო ინტეგრირებული ზოგადი მოდულების დანერგვის პროცესი (რასაც წინ უსწრებდა მასწავლებელთა შერჩევის და ტრენინგის ფაზა), რომელიც აქტიური მხარდაჭერის ფონზე მიმდინარეობს.

ინტეგრირებული ზოგადი მოდულები მასწავლებლებისგან მოითხოვს მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებას სტუდენტების ინტერესებისა და არსებული შესაძლებლობების გათვალისწინებით. გამომდინარე აქედან დღის წესრიგში დგება ელექტრონული სახელმძღვანელოს შექმნის საჭიროება, რომელიც დააკმაყოფილებს ინტეგრირებული ზოგადი მოდულების მოთხოვნებს.

სახელმძღვანელოს საჭიროება განსაკუთრებულად იჩენს თავს „მეცნიერებების“ მოდულით სწავლა-სწავლების პროცესში, ვინაიდან ეს მოდული ოთხი საგნობრივი მიმართულების - ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია ურთიერთდაკავშირებულად სწავლა-სწავლებას გულისხმობს. ამდენად, პირველ ეტაპზე, დაგეგმილია საპილოტე სახელმძღვანელოს შექმნა მეცნიერებების მოდულისათვის.

სახელმძღვანელოს ზოგადი დახასიათება

„მეცნიერების“ მოდულისთვის შექმნილი სახელმძღვანელო ფუნქციურად და შინაარსობრივად უნდა განსხვავდებოდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის განკუთვნილი გრიფირებული სახელმძღვანელოებისგან.

- სახელმძღვანელო უნდა იყოს ციფრული ფორმატის;
- სახელმძღვანელოს საშუალებით უნდა განხორციელდეს ოთხი დისციპლინის - ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია ინტეგრირებული სწავლება;
- სახელმძღვანელო უნდა ფარავდეს ოთხივე საგნობრივი მიმართულებისთვის გათვალისწინებულ სამწლიან პროგრამას.

შინაარსობრივი და კონცეპტუალური თვალსაზრისით სახელმძღვანელოს ავტორებს აქვთ შემოქმედებითი თავისუფლება, თუმცა, მათი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. სახელმძღვანელო ორიენტირებული უნდა იყოს ინტეგრირებული ზოგადი მოდულით განსაზღვრულ გრელვადიან მიზნებზე (ინტეგრირებულ ზოგად მოდულებში გრძელვადიანი მიზნები ჩამოყალიბებულია სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებული მკვიდრ წარმოდგენების სახით);
2. სახელმძღვანელოში შუალედური სასწავლო მიზნები უნდა ჩამოყალიბდეს კომპლექსური დავალებების ფორმით - კომპლექსური დავალება არის შემოქმედებითი პროდუქტი, რომელსაც ქმნის მოსწავლე და რომლის საშუალებითაც საკუთარ ცოდნას ადასტურებს შესწავლილ საკითხთან დაკავშირებით;
3. სახელმძღვანელოში გამოყოფილი თემები უნდა ქმნიდეს გამამთლიანებელ კონტექსტს საგნობრივი საკითხებისთვის. ის ყოფით ცხოვრებასთან უნდა აახლოვებდეს სასწავლო მასალას;
4. სახელმძღვანელოში წარმოდგენილი აქტივობები უნდა ეფუძნებოდეს სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს - ეროვნულ სასწავლო გეგმაში 5 ასეთი პრინციპია განსაზღვრული:
 - აქტიური სწავლა; მოსწავლის შანაგანი ძალების გააქტიურება;

- ახალი ცოდნის კონსტრუირება მოსწავლის წინარე ცოდნაზე დაყრდნობით;
 - სწავლის სწავლა;
 - ცოდნის სამი კატეგორია;
 - ცოდნათა ორგანიზება და ურთერთდაკავშირება.
5. სახელმძღვანელოში წარმოდგენილი შეფასების სისტემა / განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უნდა ეფუძნებოდეს სოლო ტექსონომიის პრინციპებს.